ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2865812

ნომერი: AR1419088

თარიღი : 04.07.2016

გაცემის თარიღი : 18.10.2016

გაცნობის თარიღი : 08.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუამთა , N 1 , მიმდებარედ (ნაკვეთი 24/053)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , (III) მასივი , კვარტალი 7, N7 კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ პირველი პ/ნ 01010011580
- ქ.თბილისი ნუცუბიძის პლატო მე-4მკრ"

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1419088 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დგინდება, რომ

წარმოდგენილ, კორექტირებულ პროექტში ხდება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (12.03.2013 ბრძანება №551558) არეალში შემავალი მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა, რაც საჭიროებს გრგ გეგმარებით დავალებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

სამსახურმა ზემოაღნიშნული საკითხი გადააგზავნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე განსახილველად, რომლის 15.09.2016წ. N47-ის ოქმის საფუძველზე საკითხს მიეცა უარყოფითი შეფასება და გამოითქვა შემდეგი რეკომენდაცია, იმის თაობაზე, რომ თავდაპირველად საჭიროა შევიდეს შესაბამისი ცვლილება გრგ გეგმარებით დავალებაში (იხ. ამონარიდი ოქმიდან N47, 15.09.2016წ.)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ გრგ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანაზე. აღნიშნულის განხორციელების მიზნით განაცხადი ატვირთეთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.